



ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
შპს „სითი გრუფ“
2018 წელი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6

შპს "სითი გრუფ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	454 407	587 591
არამატერიალური აქტივები	5	6 616	10 140
საინვესტიციო ქონება	10	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		461 023	597 732
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	48 393	38 697
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	19 650	14 835
მარაგები	8	373 438	390 741
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		441 481	444 273
სულ აქტივები		902 504	1 042 005
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	811 239	811 239
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1 710 400)	(1 814 040)
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		(899 161)	(1 002 801)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	1 016 562	1 290 985
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 016 562	1 290 985
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	250 000	168 510
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	510 214	552 163
საგადასახადო ვალდებულებები		24 890	33 148
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		785 103	753 821
სულ ვალდებულებები		1 801 665	2 044 806
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		902 504	1 042 005

აღმასრულებელი დირექტორი:

დავით ანჯაფარიძე

ფინანსური მენეჯერი:


ნინო ოლაძე

შპს "სითი გრუპ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	454 407	587 591
არამატერიალური აქტივები	5	6 616	10 140
საინვესტიციო ქონება	10	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		461 023	597 732
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	48 393	38 697
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	19 650	14 835
მარაგები	8	373 438	390 741
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		441 481	444 273
სულ აქტივები		902 504	1 042 005
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	811 239	811 239
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1 710 400)	(1 814 040)
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		(899 161)	(1 002 801)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	1 016 562	1 290 985
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 016 562	1 290 985
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	250 000	168 510
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	510 214	552 163
საგადასახადო ვალდებულებები		24 890	33 148
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		785 103	753 821
სულ ვალდებულებები		1 801 665	2 044 806
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		902 504	1 042 005

აღმასრულებელი დირექტორი:
დავით ანჯაფარიძე
ფინანსური მენეჯერი:
ნინო ოლაძე



შპს "სითი გრუფ"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	12	2 948 053
თვითღირებულება	13	(2 061 939)
საერთო მოგება		886 113
სხვა შემოსავლები	14	5 681
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(480 102)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	17	(107 493)
სხვა ხარჯები	15	(47 094)
საოპერაციო მოგება		257 107
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	18	(135 619)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	19	(17 848)
მოგება დაბეგვრამდე		103 640
მოგების გადასახადი	20	-
წმინდა მოგება		103 640
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		103 640

აღმასრულებელი დირექტორი:
დავით ანჯაფარიძე
ფინანსური მენეჯერი:
ნინო ოლაძე

შპს "სითი გრუპ"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	12	2 948 053
თვითღირებულება	13	(2 061 939)
საერთო მოგება		886 113
სხვა შემოსავლები	14	5 681
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(480 102)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	17	(107 493)
სხვა ხარჯები	15	(47 094)
საოპერაციო მოგება		257 107
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	18	(135 619)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	19	(17 848)
მოგება დაბეგვრამდე		103 640
მოგების გადასახადი	20	-
წმინდა მოგება		103 640
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		-
მთლიანი სრული შემოსავალი		103 640

აღმასრულებელი დირექტორი:
დავით ანჯაფარიძე
ფინანსური მენეჯერი:
ნინო ოლაძე



"შპს "სითი გრუფ"

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)**

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	811 239	-	(1 814 039.86)	(1 002 801)
წმინდა მოგება	-	-	103 640	103 640
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	103 640	103 640
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2018 წლის 31 დეკემბერი	811 239	-	(1 710 400)	(899 161)

აღმასრულებელი დირექტორი:
დავით ანჯაფარიძე

ფინანსური მენეჯერი:
ნინო ოლაძე

"შპს "სითი გრუპ"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	811 239	-	(1 814 039.86)	(1 002 801)
წმინდა მოგება	-	-	103 640	103 640
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	103 640	103 640
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	811 239	-	(1 710 400)	(899 161)

აღმასრულებელი დირექტორი:
დავით ანჯაფარიძე

ფინანსური მენეჯერი:
ნინო ოლაძე



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „სითი გრუფ“ (კომპანია) დაარსდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და 2012 წლიდან დღემდე მის საქმიანობას წარმოადგენს პურის, ნამცხვრების, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია სპეციალიზებულ მაღაზიებში, რესტორნები და საკვებით მომსახურების საქმიანობები.

შპს „სითი გრუფ“-ის 100%-ის წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ჯემალ ბაღათურია.

შპს „სითი გრუფ“-ის რეგისტრირებული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. აბაშიძის ქ., #42, ბ. #13.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 90 თანამშრომელს (2017 -95).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“- ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ: მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია ლარებში დამრგვალებული უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-21 შენიშვნაში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ამზადებდა საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას ხელმძღვანელობისა და ფინანსური ინსტიტუტებისათვის კომპანიის შეფასებისა და ანალიზის მიზნით, თავად კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ ანგარიშგებას, მომზადებულს მის ფასს შესაბამისად. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა მის ფასს 35-ე განყოფილების „მის ფასს-ზე გადასვლა“.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.0701 (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი, ერთი ევრო 3.1044). არაფულადი მუხლების

გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწრიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწრილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 5 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი

კავშირგაბმულობის მოწყობილობები - 12 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 7 წელი

სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები - 10 წელი

3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც

აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 3-10 წელი

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა მანქანადაწარმოების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ მოხდება მათი ძირითადი საშუალებებზე კაპიტალიზაცია.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.6 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზარდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.7 სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საზოგადოების ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.8 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი საზოგადოებას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

3.8 სესხები პარტნიორისგან

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება. სესხების შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება რთული პროცენტის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. არ ხდება სესხების ეფექტური % განაკვეთით ამორტიზაცია, რადგან შეუძლებელია კონკრეტული თარიღების განსაზღვრა ფულადი ნაკადის გადინებისათვის, რომლებიც წარმოადგენს ძირის თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი საზოგადოებას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

3.9 იჯარა

იჯარა ფინანსურად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მისი პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საზოგადოებისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.10 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

3.11 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა საზოგადოების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვეო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით, საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით

(მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, საზოგადოების მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა, მიუხედავად იმის ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.13 დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)

საზოგადოების მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ს თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, საზოგადოების მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, პრემიები და არაფულადი სარგებლები საზოგადოების მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც საზოგადოების თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული, ხოლო ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებების, ბიულეტენების შემთხვევაში როდესაც საზოგადოების თანამშრომელი ისარგებლებს ამ უფლებით.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოების მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

3.15 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. კომპანიის ისტორიული შედეგებიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მსგავსი ფულადი ნაკადის გასვლა არ ქონია.

3.16 ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება საზოგადოების იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3.11 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

შენიშვნა 4

პირითადი საშუალებები

ლარში	კაპიტალიზაციის მოწყობით	ოფისის ადგილობრა, კომპ. ტექნ. გარდა	კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობები	ავეჯი	ინვენტარი	საწარმოო დანადგარები	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	მსუბუქი ავტომობილები	იჯარით აღებული ქონების კეტილიზაცია	ჯამი
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	21 059	79 365	56 250	99 017	305 874	470 819	40 253	27 428	326 288	1 426 353
შესიდა	166	6 928	-	11 251	5 118	8 195	6 207	-	5 226	43 091
გაგდა										-
გაუფასურება										-
შიდა აგებული რეკონსტრუქცია										-
გადაფასების რეზერვი										-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	21 224	86 293	56 250	110 268	310 992	479 014	46 460	27 428	335 090	1 473 020

დაგრძელებული ცვლილება

2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	6 427	38 596	37 953	52 393	242 903	305 830	22 718	12 227	119 714	838 761
ცვლილების ხარჯი	1 694	14 965	7 335	16 161	20 995	58 478	5 680	5 486	49 060	179 852
გადაფასების რეზერვის დაგრძელებული ცვლილება										-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	8 121	53 561	45 288	68 554	263 898	364 307	28 398	17 712	168 774	1 018 613

სამაღალსი ღირებულება

2017 წლის ბოლოს	14 631	40 769	18 296	46 624	62 971	164 990	17 534	15 201	206 574	587 591
2018 წლის ბოლოს	13 103	32 732	10 962	41 714	47 094	114 707	18 062	9 716	166 317	454 407

შენიშვნა-5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	პატენტები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
2017 წლის ბოლოს	22 474	712	3 432	26 618
შემოსავლა	-	-	-	-
გასვლა				-
2018 წლის ბოლოს	22 474	712	3 432	26 618

	პროგრამები	პატენტები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2017 წლის ბოლოს	13 401	423	2 654	16 478
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	2 903	107	515	3 524
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2018 წლის ბოლოს	16 303	530	3 169	20 002

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2017 წლის ბოლოს	9 073	289	778	10 140
2018 წლის ბოლოს	6 171	182	263	6 616

შენიშვნა -6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ფული სალაროში	21 278	16 597
ფული საბანკო ანგარიშებზე	27 114	22 100
	48 393	38 697

შენიშვნა -7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	19 650	14 835
საექვო ვალუბის ანარიცხების რეზერვი	-	-
სხვა მოთხოვნები	-	-
	19 650	14 835

შენიშვნა -8 მარაგები

ლარში	31/12/2018	31/12/2017
მზა პროდუქცია	28 541	22 779
ნედლეული	147 651	177 410
დაუმთავრებელი წარმოება	1 246	2 607
საქონელი	186 923	186 923
სხვა მარაგები	9 077	1 022
	373 438	390 741

შენიშვნა - 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები	2 574	20 286
გადასახელი ხელფასები	19 773	18 016
გადასახდელი პროცენტები	487 867	513 024
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	837
	510 214	552 163

შენიშვნა - 10 გრძელვადიანი სესხები

	31/12/2018	31/12/2017
სესხები პარტნიორებისაგან ლარში	352 765	602 765
სესხები პარტნიორებისაგან აშშ	663 797	
სესხები სს "თიბისი ბანკიდან"		688 220
	1 016 562	1 290 985

შენიშვნა - 10 მიმდინარე სესხები

	31/12/2018	31/12/2017
სესხები პარტნიორებისაგან ლარში	250 000	168 510
სესხები პარტნიორებისაგან აშშ	-	-
	-	-
	250 000	168 510

შენიშვნა - 11 კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 811 239 ლარს. (2017 წლის 31 დეკემბერი: 811 239 ლარი).

შენიშვნა - 12 შემოსავლები

ლარი

	31/12/2018	31/12/2017
მზა პროდუქციის რეალიზაცია	2 810 172	
მომსახურების რეალიზაცია	137 881	
	2 948 053	-

შენიშვნა - 13 თვითღირებულება

ლარი

	31/12/2018	31/12/2017
მზა პროდუქციის თვითღირებულება	45 000	
ნედლეულის თვითღირებულება	500 684	
მომსახურების თვითღირებულება	-	-
	545 684	-

შენიშვნა - 13 თვითღირებულება

	31/12/2018	31/12/2017
პირდაპირი მასალები	5 077	
შრომითი ანაზღაურება	704 163	
კომუნალურები	147 403	
იჯარა	394 901	

ცვეთა	183 376	
დამზარე მასალები	81 335	
რემონტები	-	
სხვა	-	
	1 516 255	-

შენიშვნა - 14 თვითღირებულება

	31/12/2018	31/12/2017
ექსკლუზიური მომსახურება	5 681	
	5 681	-

შენიშვნა -15 სხვა ხარჯები

ლარი	31/12/2018	31/12/2017
პირითადი საშუალების რემონტის ხარჯები 16 იდან	7251.13	
მიმდინარე ხარჯები- ელექტროობა(16 ებიდან)	1279.49	
სხვა საგადასახადო ხარჯები	5209.99	
საბანკო ხარჯები	29888.28	
საქველმოქმედო საქმიანობის ხარჯები	3465	
	47 094	-

შენიშვნა -16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2018	
ადმინისტრაციის ხელფასები	400000	
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	4 256	
გაბარჯული ერთჯერადი წყლის ჭიქები	793	
კომპიუტერის ხარჯები	1 033	
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	15 000	
რეკრუტინგული მომსახურების ხარჯები	1 432	
საინფორმაციო სისტემების მომსახურების ხარჯი	1 576	
იურიდიული და სანოტარო მომსახურება	110	
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	55 901	
	4 80 102	-

შენიშვნა -17 მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები

ლარი	31/12/2018	
რეკლამის ხარჯები	6 894	
სარეკლამო მარაგების ხარჯები	3 930	
მიწოდების სხვა ხარჯები	2 135	

სპეც სამოსის ხარჯები	3 714	
ავტომობილის ხარჯები	3 623	
საწვავის ხარჯები	7 449	
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები	18 150	
ჰიგიენის საშუალებების ხარჯები	61 597	
	107 493	-

შენიშვნა -18 ფინანსური ხარჯი

ლარი	31/12/2018	31/12/2017
ბანკის სესხის პროცენტი	40 078	
პარტნიორის სესხზე დარიცხული პროცენტი	95 541	
სხვა ფინანსური ხარჯები	-	
	135 619	-

შენიშვნა - 19 წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება

ლარი	31/12/2018	31/12/2017
დადებითი საკუროსო სხვაობები	61 285	
უარყოფითი საკუროსო სხვაობები	(79 133)	-
	(17 848)	-

შენიშვნა - 20 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31/12/2018	31/12/2017
მიმდინარე მოგების ხარჯი	-	-
	-	-

21 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

21.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ

შედგეს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ. ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

22 გაუთვალისწინებელი გარემოებები - გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.